მწყემსი

Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили

7 126

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 2 1883—1894 30 იანვარი.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: დღესასწაულობა ქუთ. სას. სასწავლებელში.—ქართლ-კახეთის მოელი ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების კრებისა გამო ქ. თბილისში ოქტომბრის 8—14-დე.—ახალი ამბები და შენიშვნები.—დრო და საუკუნე.—ქართული აპოკრიფები.—სასარგებლო ცოდნა, ავადმყოფობა ფუტკრებისა.—კალენდარული ცნობა.—განცხადებანი.

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝᲑᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲨᲘ 26 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ.

26 იანვარს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელმა დიდის ამბით იდღესასწაულა ხსენება წმიდა მეფის დავით აღმაშენებელისა, რომლის სახელობაზე ამ სასწავლებელში დაარსებულია ᲛᲛᲝᲑᲐ ღარიბ მოწაფეთა შესაწევნელად. ამ დღეს სასწავლებლის ეკკლესიაში სწირა ეოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა. წირვაზე გალობდა ამ სასწავლებლის მოწაფეთაგან შემდგარი 2 გუნდი რუსულად და ქართულად. წირვის გათავების შემდეგ გარდასდილ იქმნა პარაკლისი წმ. მეფის დავით აღმაშენებლის სახელობაზე. პარაკლისის გათავების შემდეგ აქტი იყო სასწავლებლის ერთ დიდ დარბაზში. აქტზე დაესწრო ეოვლად სამღვდელო გაბრიელი, მრავალი სამღვდელო და საერო პირი, სასწავლებლის მასწავლებელნი და მოსწავლენი. პირველად მოსწავლეთაგან შედგენილმა მგალობელთა გუნდმა იგალობა: «დღეს მადლმან სულისა წმიდისამან შეგვკრიბნა ჩვენ». შემდეგ ამისა სასწავლებლის ზედამხედველმა ბ, ალ. იაროსლავმა წაიკითხა

ვრცელი ანგარიში მმობისა. ამ ანგარიშს ჩვენ დავბეჭდავთ შემდეგს ნომერში. ანგარიშის წაკითხვის შემდეგ მგალობლებმა იგალობეს «ცხოვრებისა ზღვა». ამის შემდეგ მეოთხე კლასის ერთმა მოწაფემ კ. ფოცხვერაშვილმა წაიკითხა წმიდა დავით აღმაშენებელის ცხოვრების და მოღვაწეობის მოკლე აღწერილობა. შემდეგ მგალობელთა გუნდმა იგალობა ქართულად წმ. დავით აღმაშენებელის ტროპარი. მესამე კლასის მოწაფემ ზაბავამ წაიკითხა რუსული ლექსი «Дай добрый товарищъ». ამის შემდეგ მეოთხე კლასის მოწაფემ ეფ. ჩინჩალაძემ წაიკითხა ლექსი «გელათი.» შემდეგ მეოთხე კლასის მოწაფემ ნ. ჯაბიძემ წაიკითხა რუსულს ენაზე ლექსი »ПѢСНЬ БѢДНЯКА«. ბოლოს მეოთხე კლასის მოწაფემ ი. ჩლაიძემ წაიკითხა შემდეგი ლექსი:

რა არის ჩვენი სიცოცხლე?

«რა არის ჩვენი სიკოცხლე, თუ არა საქმე კეთილი,
თუ არ აღვადგენთ დაცემულს, არ ვექმნეთ ნუგეშმცემელი,
თუ არა ვსდევნით ბოროტსა, მართლის არა ვართ მფარველი?
სხვის კენესა თუ არ გვაწუხებს, სხვისა არ გვესმის ტკივილი?
ამ აზრის გულსა დანერგვით ვსდევნიდეთ სულმოკლეობას,
ვსდევნიდეთ ძალას დამჩაგვრელს და მისსა უსამართლობას;
ვსდევნიდეთ კაცის ნამბილწველს უწმინდურს ანგაარებას;
ვსდევნიდეთ ყოველს, რაც უშლის კაცისა სულის მაღლობას;
მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა—ღირსებას;
ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარიშვილობას!
კაცი ის არის, ვინც არის ზეგარდმო მადლით ცხებული;
მის მხოლოდ ღვაწლი არა კეთილ, მით მხარე დამშვენებული».

აქტის გათავებისას იგალობეს რუსულად «ღმერთო დაიცვე მეფე» და ქართულად «ღირს არს ჭეშმარიტად».

მათი ეოვლად უსამღვდელოესობა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი მლიერ კმაყოფილი დარჩა მოწაფეების გალობით ჯ კითხვით, მათმა მეუფებამ ამ დღეს შესწირა დარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ ასი მანეთი, დეკ. დ. ღამბაშიძემ შესწირა მოწაფეებზე მუქთად დასარიგებლად ორასი ცალი მისგან გამოცემული წიგნი «გელათის მონასტერი და ცხოვრება მეფის დავით აღმაშენებელისა» და ფულად 5 მანეთი; დეკანოზმა იოსებ ჭეიშვილმა—10 მ., დეკანოზმა კიკაჩეიშვილმა 3 მ.; ამ სასწავლებლის საპატიო წევრმა ბ. მ. შნეიდერმა 5 მ.; დავით მიქიაშვილმა 5 მ.; ეპარქიალური კანცელარიის მდივანმა 3 მ.; მისმა თანაშემწემ ლეონტი ჩაჩანიძემ 3 მ. და სხვებმაც, ვინც კი დაესწრო აქტზე, ეველამ შესწირა შემლებისადაგვარად. შემდეგ სიგელისა ეოვლად სამღვდელო ჯ სხვა საპატიო პირნი მიწვეულ იქმნენ ზედამხედველისაგან საუზმეზე, სადაც ეველა სტუმრებმა მმურად გაატარეს დრო.

ამ დღესასწაულობას პირველ ადგილს ვუთმობთ ჩვენს გამოცემაში მისთვის, რომ ჩვენი სასწავლებლების და ახალი თაობის აღზრდის საქმე ჩვენში სწორეთ ერთი უდიდესი საქმეთაგანია. არაფერი არ ახარებს სამღვდელოებას და ჩვენ საზოგაოებას ისე, როგორც ის, როდესაც ჩვენს სასწავლებლებში კეთილად ჯ წარმატებით მიდის სწავლის საქმე, და როდესაც ამ სასწავლებლებში უფროსთა და მათ თანამოსამსახურეთა შორის სუფევს მმური სიყვარული და ურთიერთშორის თანხმობა. საეწუსა-

როდ, ზოგიერთი ჩვენგანი მეუფროსეთა წყალობით ისე იყო საქმე დაყენებული, რომ ამ მეუფროსეთა და მათ თანამოსამსახურეთა შორის ნიადაგ უთანხმოება იყო, რასაც ხშირად არა სასიამოვნო შედეგი ჰქონდა ხოლმე. მაგრამ აგერ, თითქმის, ოთხი წელიწადი სრულდება, რომ ამ სასწავლებელში სუფევს სასურველი თანხმობა მეუფროსეთა და მათ თანამოსამსახურეთა შორის. და ეს, რასაკვირველია, ძლიერ სასიამოვნოა სამღვდელოებისათვის. სხვა სასულიერო სასწავლებლებში უფრო საადვილოა საქმის წაყვანა ზედამხედველობისათვის, ვინემ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, სადაც თოთხმეტი კლასია, რომლებშიაც სწავლობს 600-მდე მოსწავლე. ამისათვის ამ სასწავლებლის ზედამხედველი სწორეთ მადლობის ღირსია, რომ ამ სასწავლებლის საქმე ასე წესიერად და კარგად მიჰყავს.

ჩვენ წინათვე გამოვსთქვით ჩვენი აზრი, რომ ბ. ალ. იაროსლავი კარგად წაიყვანდა საქმეს ამ სასწავლებელში, რადგან ამ კაცში ვხედავდით ჩვენ ჭეშმარიტი ქრისტიანე კაცის გულს და არა ისეთ კაცს, რომლის სიტყვა და საქმე ერთიერთმანეთს არ ეთანხმება. ამისთანა კეთილი გულის მქონე კაცს ვერაფერი ვერ დააბრკოლებს, რომ მისდამი რწმუნებული საქმე კეთილად წარმართოს. და აი სწორეთ ამით აიხსნება, რომ ეს კაცი სასწავლებლის ბევრ საქმეებთან ერთად ამ ახლად დაარსებული ძმობის საქმეებსაც სასურველად მართავს და ბევრ ღარიბ მოწაფეს შეძლებას აძლევს, რომ სწავლა შეიძინოს. თუ რამდენი ღარიბი მოწაფისათვის აღმოუჩენია შემწეობა ძმობას ამ კაცის წყალობით, ამას შემდეგ ნომერში დაინახავს მკითხველი. სრული იმედია, რომ სამღვდელოება ჯეროვანად დააფასებს ამ კაცის შრომას და ძმობის საქმეშიაც აღმოუჩენს იმ თანაგრძნობას, რომელსაც ეს კაცი ასე გულით სთხოვს ძმობის წლიური ანგარიშის ბოლოს იმერეთის სამღვდელოებას მათი შვილებისათვისვე.

ქართლ-კახეთის ეპარქიის მთელი სამღვდელოების დეპუტატების კრებისა გამო ქ. თბილისში ოქტომბრის 8—14-დე 1893 წ.

(გაგრძელება *)

დიდი ბაასი გამოიწვია სამღვდელოების კრებაზე წინადადებამ სემინარიის ეზოს გვერდზე მდებარე ინტენდანტსვოსადმი კუთვნილი სახლების მოპოების შესახებ. სემინარიის მართებლობა, დიდი ხანია, ცდილობს, რომ ცოტაოდენი ადგილი შეიძინოს სემინარიის ეზოს მახლობლად და საზოგადო ბინა ააგოს სემინარიის ყველა შაგირდებისათვის. 1889 წელშიაც იყო ამ საგნის შესახებ ლაპარაკი და კრებამ გარდასწყვიტა სამღვდელოებას გამოეღო 40,000 მან., რომ ამ ფულებით ერთი სახლი მიეშენებიათ სემინარიისათვის და ამ სახლში სურდათ პარალელური კლასების გახსნა. მართალია, სამღვდელოების კრებას გარდააწყვეტინეს სახლის აშენება, მაგრამ ძლიერ მოუფიქრებლად და წინდაუხედავად მოუვიდათ ეს საქმე. ამ სახლის ასაშენებელი ფული, ორმოცი ათასი მ. სანთლის ქარხანას უნდა მიეცა. მაგრამ ის კი აღარ იკითხეს, ჰქონდა ეს ორმოცი ათასი მანეთი სანთლის ქარხანას თუ არა, და ან იყო თუ არა ამ შენობისათვის ადგილი სემინარიის ეზოში?.. ამ უკანასკნელ კრებაზე კი სულ სხვანაირად დააყენეს კითხვა. სემინარიის მმართველობამ გამოუცხადა კრებას, რომ სემინარიის მახლობლად ინტენდანტსტვოს სახლები ცარიელი რჩება და ადგი-

ლი შესაძლებელია, რომ მთავრობამ ეს სახლები და ადგილი სემინარიას დაუთმოს მუქთად ან მცირე ფასითო. ამიტომ საჭიროა ვითხოვოთ, რომ ეს სახლები და ადგილი ეგებ მუქთად დაგვითმონო. კრებამ ერთხმად აირჩია ამ საქმის შესახებ კომისია, რომლის წევრებად დანიშნულ იქმნენ სემინარიის რექტორი, და დეკანოზნი ღამბაშიძე და იუნიცკი. კომისიას უნდა შეედგინა ადრესი სამღვდელოების მხრით დ მიერთმია მთავარ-მართებლისათვის ექსარხოსის შუამდგომელობით. კომისიამ ადრესი შეადგინა დ ხელმოწერილი წარუდგინა მათ მეუფებას.

დეპ. ს. დავიდოვი. ადრესი წარდგინდება რიგისამებრ, მაგრამ ჩვენ მაინც ნუ მოვშლით ზრუნვას სემინარიის მახლობლად სახლის აღშენების შესახებ. სამხედრო წოდება დაგვითმობს თუ არა ამ შენობებს მუქთად, ეს ღმერთმა უწყის. საჭიროა ყურადღება მივაქციოთ, რომ ჩვენი სემინარია ძლიერ დაუხერხებელ ადგილას არის. აღვძრათ კითხვა, რომ სემინარია გადატანილ იქმნეს დიდუბისკენ, სადაც ადგილიც იშოვება და ბევრად უმჯობესად მოიწყობა სემინარია. ვსთხოვოთ უწმიდეს სინოდს 600 ათასი მან. სესხად. ამ ფულით ჩვენ სემინარიისათვის გავაკეთებთ მშვენიერ შენობას. ძველი შენობა სემინარიისა მაღაზიებათ შეგვიძლია გადავაკეთოთ და ეს შენობა იმდენ ფულს შემოიტანს, რომ სინოდის ვალსაც გარდაგვიხდის დ სახლებიც ჩვენ დაგვრჩება.

ერთი დეპუტატთაგანი. ამ შენობაში კიბეების გასაკეთებლად ითხოვეს თუთხმეტი ათას მანეთამდე და ამდენი ფულების დახარჯვას, რასაკვირველია, ემჯობინება, რომ ასე მოეწყობოდეს საქმე.

დეკ. დ. ღამბაშიძე. მამა დავიდოვის აზრის განხორციელება რომ შეიძლებოდეს, ამის წინააღმდეგი ვინ იქნება? სიტყვით ბევრი რამ შეუძლია კაცმა სთქვას, მაგრამ უპირველეს იმას უნდა მიაქციოთ ყურადღება, შეიძლება თუ არა ჩვენი სიტყვების და აზრის სისრულეში მოყვანა? სიტყვით ადვილი სათქმელია გისესხოთ სინოდისაგან **600** ათასი მან. და სინოდს კი აღარ კითხავთ, აქვს თუ არა მას ამდენი ფულები თავისუფლად? დარომ კიდეც ჰქონდეს, გასესხებს თუ არა? ძლიერ ადვილი სათქმელია: ეხლანდელი შენობა სემინარიისა მაღაზიებათ გავაქიროთ და იმდენ ფულს შემოგვიტანს, რომ სესხსაც გარდავიხდით და შენობაც მუქთად დაგვრჩება. ეს სიტყვები მომაგონებს ერთ მოხუცებულზე ნათქვამ არაკს და ენუქას ანდერძს. სად გვაქვს ჩვენ მაგდენი მოხერხება და გამჭრიახობა. აბა, თვალი გადაავლეთ იმ შენობებს, რომელიც სასულიერო წოდებას ეკუთვნის. ბევრი შემოსავალი შემოაქვსთ ამ სახლებს? ერთი დიდი სახლი სულ ტყუვილაა გაუქმებული თფილისში და პატრონი არა ჰყავს, რომ იგი შეაკეთონ და ჯეროვანად მოიხმარონ. სამასწავლებლო გამგეობის ხელში რომ იყოს ეს სახლი, მაშინ მალე გამონახვენ წყაროს ეკლესიების შემოსავლიდამ მის გასაკეთებლად, მაგრამ ჩვენგან შეკრებილ ფულს ფასი არა აქვს! სინოდმა რომ მაგდენი ფული გვასესხოს 5%, წელიწადში 30,000 მ. მარტო სარგებელი უნდა ვიხადოთ, და თუ გინდა ამის ნახევარიც იყოს, მაინც ვის შეუძლია ამდენი ფულის გადახდა? ამ სარგებელს დაუმატეთ აგრეთვე ყოველ წლობით სახლის შესაკეთებლად და დასაზღვევად საჭირო ფულები, უკანასკნელი წელიწადში 30 ათასი მანეთი წავა და საიდგან გინდათ ეს ფულები შევსოთ? სინოდის ფინანსის მდგომარეობა შემდეგ კონვერსიის შემოღებისა მაინც სულ სხვა მდგომარეობაშია. ჩემის აზრით, თუ შესაძლებელი იქნება, ვეცადოთ ვიშოვოთ კერძო პირი და ან ამხანაგობა, რომ ამ ჩვენ სემინარიის სახლებში ჩვენგან მიცემული გეგმით აგვიგოს შენობა დიდუბეში და როცა ჩაგვაბარებს დამზადებულ შენობას, ჩვენ ეს შენობა დაუტეოთ და ახალში გადვიდეთ.

დეკ. ა. იუნიცკი. მე არ ვეთანხმები მ. ღამბაშიძის აზრს, ვითომ სინოდი ვერ შეიძლებს 600 ათასი მანეთის ფულების სესხებას. სინოდს, არ მჯერა, რაღაცა 600,000 მანეთის სესხება გაუჭირდეს. სამღვდელოებამ უსათუოდ უნდა ითხოვოს გაბედულად და სრული იმედია, რომ ამ ფულს ასესხებს მთავრობა.

დეკ. დ. ღამ—შე. ამ ფულების სესხების შესახებ ბაასი და სხვა და სხვა მოსაზრება ამაოა და ფუჭი. მე მოგახსენებთ, მამანო, რომ ამ კითხვის ასე აჩქარებულად გარდაწყვეტა არ შეიძლება.

თუ მაინცა და მაინც არ მოიშლით ამის თხოვნას, მაშინ თქვენ მიუცილებლად უნდა გქონდესთ წინდაწინ მიპოვებული ადგილი, უნდა იყოს შემდგარი ახალი შენობის გეგმა, რომ კაცმა შეიტყოს, თუ რამდენი ფულია საჭირო ამ შენობისათვის. თქვენ ჯერეთ არც კი გიფიქრიათ ამ საგანზე და ფულების სესხების შესახებ კი ჟურნალს ადგენთ!....

რამდენიმე დეპუტატნი. ჟურნალი შევადგინოთ, ფულები ვისესხოთ და ყველაფერი მერე შედგება, მერე მოეწყობა...

კრებამ ერთხმად დაადგინა ჟურნალი ექვსასი ათასი მანეთის სესხების შესახებ და ხელიც მოაწერა.

დეკ. დ. ღამ—ძე. ღმერთმან კეთილი ინებოს და თქვენი აზრი ასრულდეს, მაგრამ იქნება თქვენ რომ ამ ნასესხები ფულებით სემინარიას აშენებთ დიდუბეში და ძველ შენობას მაღაზიებათ გადააკეთებთ, მე ცოცხალი აღარ ვიქნე გთხოვთ ცუდათ ნუ მომიგონებთ, რომ ტყუვილად გიძნელებდით ამ საქმეს და ადვილი ასასრულებელი კი ყოფილა!..

ახალი ამბები და შენიშვნები.

ხმები ისმის, რომ ჩვენი თბილისის სასულიერო სემინარიის შესახებ წარდგენილი საქმე უწმ. სინოდში, უკვე დაბრუნდა უკან. იმედია, ამ ცოტა ხანში ამ საქმის შედეგი გამოცხადდება.

* * *

ყველამ უწყის, რომ ჩვენში გამოდის საყმაწვილო ჩახატებიანი ჟურნალი «ჯეჯილი». ძლიერ სამწუხაროა, რომ ჩვენს სამღვდელოებაში ამ ჟურნალმა ჯერ კიდევ ვერ გაიკვალა გზა. ჟურნალი წლიურად ღირს ოთხი მანეთი და ნუ თუ ამ ფულის შეძლება არა აქვს ჩვენს სამღვდელოებას, რომ თავის პატარა შვილებს არ მოაკლოს ამ შვენიერი ჟურნალის კითხვა?

* * *

როგორც შევიტყეთ, ბ. აკაკი წერეთელს ხელახლად მიუღია უმთავრესი მონაწილეობა ჟურნალს «კვალში».

* * *

იმერეთის ეპარქიალური სამრევლო სკოლების სამასწავლებლო რჩევამ სამრევლო სკოლებისათვის გამოიწერა ჯერ-ჯერობით 50 ცალი ჟურნალის „ჯეჯილისა". ძლიერ კარგი იქნება, რომ სხვა სამასწავლებლო რჩევებიც გამოიწერდნენ ამ ჟურნალს სამრევლო სკოლებისათვის.

* * *

შუაგულ ციმბირიდგან ჩვენი ქვეყნიდგან გაგზავნილნი პირნი გვთხოვენ გაუგზავნოთ მათ ჩვენი გაზეთი და ქართული წიგნები. ჩვენ დიდის სიამოვნებით ვასრულებთ ამ პირთა თხოვნას. კარგი იქნება, რომ ეს პირნი ერთ საზოგადო წიგნთ-საცავს დაარსებდნენ, მაშინ ყველა ჩვენი ქართული გაზეთების და წიგნების გამომცემლებიც გაუგზავნიან მათ თავიანთ გამოცემას.

* * *

საჭილაო-ნაჩხეტაურის სამრევლო სკოლის მასწავლებლის რაჟდენ გოგოტიშვილისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

«მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ, რომ თქვენი პატივცემული გაზეთის შემწეობით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო იმ პირთ, რომელთაც ჩემგან საჭილაო-ნაჩხეტაურში (დ. სამტრედიის მახლობლად) საკუთარის ხარჯით დაარსებულს საეკკლესიო-სამრევლო სკოლას აღმოუჩინეს შემწეობა უფასო წიგნთ-საცავის დასაარსებლად. უკანასკნელი, თვინიერ საჭირო სასწავლო სახელმძღვანელოთა, უნდა შეიცავდეს სასულიერო შინაარსის წიგნებსაც, რომელთაც უფასოდ წაიღებენ წასაკითხად ბიბლიოთეკიდამ. აი შემწირველთა სია: თ. ნესტორ ინალიშვილმა შემოსწირა 3 მ., ნოე კორძაიამ 3 მ., მიხეილ კვინიხიძემ 3 მ. ღირებული წიგნები, ონისიმე ნიკოლაიშვილმა 3 მ. ღირ. წიგნები, სოლომონ კორძაიამ 2 მ., ალმასხან ალანიამ წიგ. 2 მ., ანდრია ლოლუამ 1 მ. 60 კ., ნიკოლოზ სტურუამ რვა აბაზი, კოსტ. შენგელიამ 1 მ. 50 კ., გიორგი თოფურიძემ 1 მ., იოსებ ლოლაბერიძემ 1 მ., ვლ. ქაჯაიამ 1 მ., ყ. ნანეიშვილმა 1 მ., დ. გაბაშვილმა 1 მ., ბ. კაკაბაძემ 1 მ., სტ. სტურუამ 1 მ., კ. ვაჩეიშვილმა 1 მ., მესხმა 1 მ., ტ. ასა—მა 1 მ., მ. ქაგაროვმა 1 მ., კ. რუხაძემ 1 მ., ნ. ჭ—მ 1 მ., ს. კილურაძემ 1 მ., ი. გრიგოლიამ 80 კ., დ. სამნიკოვმა 50 კ., ბ. ას—მა 50 კ., ნ. აგ—მა 50 კ., ს. ბოკერიამ 50 კ., ნ, ბრელიძემ 50 კ., სტ. ქ—მა 50 კ., ს. მიქაძემ 50 კ., კ. ბახტაძემ 50 კ.

დრო და მარადის ეოფნა.

ხერსონის მთავარ-ეპისკოპოსის დიმიტრისა.

რომ ჩვენს წინ გამოცხადდეს გულის საიდუმლონი კაცთა, მათი დაფარული გრძნობებით და განზრახულებით, მათი სურვილებით და მისწრაფებით, რა საოცარი სანახაობა წარმოუდგებოდა ჩვენს თვალს! რამდენ სხვა და სხვა აზრებს, გრძნობებს, სურვილთა და იმედებს ჰბადავს კაცის გულში ერთი წლის დასასრული და ახალი წლის მოლოდინი! ზოგნი ეთხოვებიან წარსულს წელს, როგორც მეგობარს, რომელმაც მიანიჭა მათ სიხარული და კეთილად წარმათა მათი ცხოვრება; ზოგნი, როცა წარსული წლის დასასრულს მიახწევენ, მძიმედ ამოიოხრავენ, როგორც ამოიოხრავს ხოლმე დაღლილი მოგზაური, როცა თავის მხრიდამ მოიხსნის მძიმე ტვირთს. ზოგნი მოუთმენლად ეგებებიან ახალს წელს და ფიქრობენ, რომ ახალი წელი მათ მოუველენს ახალს სიხარულს და ბედნიერებას ძველთა სამაგიეროდ, რომელთაც მათ თავი მოაბეზრა; ზოგნი წინ და წინვე უიმედობის თვალით შესცქერიან ძველს წელს და დაღლილნი ყოველდღიური ნაკლულევანებით და საჭიროებით, შრომით და ზრუნვით, ახალი წლის აღმომავალ განთიადში ხედვენ შავ ღრუბელს, რომელიც უქადის მათ უფრო მომეტებულ მწუხარებას და სიღარიბეს. სამართლიანია თუ არა ასეთი იმედები და წინაგრძნობანი? საფუძვლიანია თუ არა იმედი პირველთა და უიმედობა მეორეთა? არა; რადგან არც პირველთ და არც მეორეთ არ უწყიან, თუ რა მოელისთ მათ ღვეს, მით უმეტეს არ უწყიან, რას მიანიჭებს მათ ახალი მომავალი წელი. მეორეს მხრით ორივე მხარემ კარგად უწყის, რომ წარსული სიხარული და მწუხარება სამუდამოდ ჰქრებიან და დაეიწყებას ეძლევიან, ხოლო დაგვიდგება ახალი სიხარული, ანუ მწუხარება, ეს არავინ ვიცით. ყოველივე წარმავალი სცოცხლობს მხოლოდ ჩვენს გონებაში; ყოველივე მომავალი — ჩვენს განუსაზღვრელს მოლოდინში. ვისთვის არის სასიამოვნო მოგონება? იმისთვის, ვისაც შეუძლია მოიგონოს წარსული დამშვიდებული სულით, გულის აუღელვებლად, სინიდისის შეუწუხებლად, ვისშიდაც ეს მოგონება არ აღძრავს მწარე გრძნობას სინანულისას. ვისთვის არ არის საშიშო მომავალი? ვინც ელის მომავალს მტკიცე სარწმუნოებით და დაიმედებულია ღვთის განგებულებასა ზედა და ვისაც ცხოველი იმედი აქვს ღვთის მადლისა და სიბრძნისა და ვინც იქცევა ზეციურიმამის მცნებისამებრ, რომლის ხელთა შინა ვიმყოფებით ჩვენც და მთელი ქვეყნიერებაც ყოველივე თავისი წარსულით და მომავალით. სასიამოვნო წასაკითხია შენი წარსულის წაკითხვა, როცა შენს ღლიურში აღნიშნულია კეთილი საქმენი, წმინდა და უანგარო განზრახულება, კეთილი და ღვთის სასიამოვნო სურვილი. სასიამოვნოა თვალი გადავაველოთ მომავალს, თუ ეს მომავალი არ გვიქადის მართლმსაჯული ღვთისაგან სასჯელს, არამედ ბრწყინავს ღვთის მადლის და სიყვარულის ბრწყინვალე შუქით. ერთის სიტყვით, რას გვიქადის ჩვენ წარსული, ან მომავალი წელი, ეს მასზეა დამოკიდებული, თუ როგორ ვხმაროობთ ჩვენ დროს—აწმყოს. სასიამოვნოა დრო მათთვის, რომელნიც ხმაროობენ მას საკეთილდღეოდ, თავისი სულის გასაწმენდლად და წარსამატებლად, თავის მოყვასთა სამსახურებლად, სასიამოვნოდ ღვთისა თავის ქრისტიანული სარწმუნოების და სიყვარულის საქმეებით: მათ არ აწუხებს წარსული და არც მომავალი აშინებს. საშიშია დრო მათთვის, რომელნიც ცუდად ხმაროობენ მასს თავის საზარალოდ და დასაღუპავად; მათვის სამძიმოა წარსულის მოგონება, მომავალი წარმოდგენაც უიმედობას ჰბადავს მათში. მაშ ვისგან უნდა ვისწავლოთ, იკითხავთ თქვენ, თუ როგორ უნდა ვიხმაროთ დრო ჩვენ საკეთილდღეოდ ისე, რომ წარსული არას დროს სამწუხარო არ იქმნეს ჩვენთვის და არც მომავალი დროის გვეშინოდეს? ყოველივე ესე საუმჯობესოა ვისწავლოთ თვითონ დროისაგან, რომელიც, ღვთის წინასწარმეტყველის დაკვირვებით, არც ისე მდუმარეა, როგორც ეს გვგონია ერთის შეხედვით. აი რას ამბობს წინასწარმეტყველი დავითი: «დღე დღესა აუწყებს სიტყვასა, და ღამე ღამესა მიუთხრობს მეცნიერებასა», და ისეთი ენა არ არის, რომელზედაც გაუგებარნი იყვნენ სიტყვანი მათი.

მართლაც რა არის დრო? ერთის მხრით იგი არის განცხადება საუკუნო ღვთისა. დრო მდგომარეობს ყოველი არსების მოძრაობაში და ცვლილებაში. ვინ ახდენს ამ ცვლილებას? ყოვლის შემძლე, რომელმაც რქვა და იქმნა, ბრძანა და შექმნა. რო-

მელიც შეიცავს ყოველივე წარმავალს და ცვალებითს უცვალებელ გაწყობილ წესიერებაში? ყველგან მყოფი, რომელიც განაგებს ყოველივეს თავისი სიტყვის ძალით. რომელიც წარმართავს ყოველივე მოძრავს თავის დროზე დასასრულადმდე? ყოვლად ბრძენი და ყოვლად მოწყალე, რომელმაც შექმნა ყოველივე წონით და საწყაულით, რომელიც უჩვენებს გზას ეარსკელავთა, და რომელიც მოსავს ფრინველთა და ველთა, რომელიც აღაპყრობს თავის მოწყალე ხელსა და განაძღებს ყოველთა სიკეთითა თვისითა. ამ სახით თუ შეეხედავთ ყოველივე არსებულს, ყოველივეში და ყველგან ჩვენ ვიხილავთ ყველგან მყოფს და ყოველის შემოქმედს ღმერთს; „რამეთუ უხილავი იგი მისი, დაბადებითგან სოფლისათ ქმნულთა მათ შინა საცნაურად იხილვების და სამარადისო იგი ძალი მისი და ღმრთეება». მაშ პირველი დანიშნულება დროისა მდგომარეობს მასში, რათა ეხედავდეთ ყოველთვის, ჩვენშიაც და ჩვენს გარეშეც ყოველგან მყოფს და ყოვლად შემძლებელს ღმერთსა და მუდამ ვიდოდეთ მის წინაშე, წმ. დავითის მაგალითისაებრ, ვიყვნეთ ყოველთვის ღვთის უხილავს, მაგრამ საგრძნობელს ყველგან მყოფობის ქვეშე, მიგვაჩნდეს ჩვენი თავი მუდამ მის ყოვლად მპყრობელ ნების ქვეშე, ყოველს წამს ვიქმნეთ მის ყოვლად მხილველი მხედველობის ქვეშე. საჭიროა მივაჩვიოთ ჩვენი აზრი, ჩვენი გულის ზრახვა, ჩვენი სურვილი, ჩვენი გული, ერთი სიტყვით—ყოველივე ჩვენი სულის ძალნი,—ვიქმნეთ მუდამ ღვთის პირის წინ. რასაც კი მოქმედებ, იმოქმედე უფლის წინაშე; რაზედაც უნდა ფიქრობდე, იფიქრე უფლის წინაშე; რაც უნდა ისურვო, ისურვე უფლის წინაშე; რაზედაც უნდა ხარობდე, იხარე უფლის წინაშე; რაზედაც უნდა მწუხარეობდე, შენი მწუხარება აცნობე უფალს.

სად არის დასაწყისი და დასასრული დროისა? მარადის ყოფნაში. დრო არის მსგავსი რომელიმე ნაკადულისა, რომელიც გამომდინარეობს საუკუნედგან და რომელიც ხელახლად ერთვის საუკუნეს. მასზედ იგივე შეგვიძლია ვსთქვათ, რაიცა რქვა უფალმა თავის ქვეყნად დროებით გამოცხადებაზე: ღვთისაგან მოვალს, და ღვთისადმი წარვალს. ამისთვის ჩვენც, რომელიც დროით ვცხოვრებთ, უნდა მივსდიოთ ჩვენი მოქმედების დროს, მის მიმდინარეობას—წარეგართოთ ყოველივე გონება, სურვილი, და ჩვენი გრძნობანი, წარემართოთ ყოველივე ჩვენი საქმეები და განზრახვანი საუკუნოებისადმი. აქ ყოველივე ცხადდება, მოქმედებს და იცვლება; და საუკუნო არა რაი არს, რაზედაც დამკვიდრდეს ჩვენი გონება, რითაც დაკმაყოფილებულ იქმნეს ჩვენი სურვილი, რამაც დაამშვიდოს ჩვენი გული. ძლივს ასწრებ იგემო რაიმე სიამოვნება—იგი უკვე წარვიდა, და გულში კიდევ უფრო მომეტებული სიცარიელე რჩება. ძლივს შეხვდები რაიმე სიხარულს; ხოლო მან უკვე გაირბინა და რჩები ხელახლად უწინდელ მწუხარებასა შინა. ძლივს აღავსებ შენ საუნჯეთა, რათა რქვა სულსა შენსა: «სულო! გაქვს მრავალი კეთილი, დაუნჯებული მრავალთა წელთა; განისვენე, სჭამე და ჰსუ და იხარებდ». და აგერ უკვე ისმის საშინელი ხმა საუკუნო მსაჯულისა: «უგნურო! ამას ღამესა მიგიღონ სული შენი შენგან; ეგე რომელ მოიმზადე, არა იყოს»? ასე იცვლება ქვეყნიერების სახე და ერთხელ კი სრულებით შეიცვლება: «ახალთა ცათა და ახალსა ქვეყანასა მსგავსად აღოქმისა მისისა მოველით, რომელსა შინა სიმართლე დამკვიდრებულ არს». ამ ახალ ცათა შინა და ახალსა ქვეყანაზედ არის ჩვენი საუკუნო სიცოცხლე; იქ ზეციური მამის სავანეთა შინა სული ჩვენი განისვენებს ამაო წუთისოფლის ყოველივე შრომისა და ზრუნვისაგან; იქ დაფარულ არს ჩვენთვის საუნჯენი, რომელსა «იგი მპარავი არა მიეხლების, არცა მღილმან განჰყენის"; იქ ელის ღვთის რჩეულთა უცვალებელი, საუკუნო დიდება, სიხარული და ნეტარება. მაშასადამე ჩვენმა გონებამ ამა ქვეყნიური და ამაო წუთისოფლის ზრუნვას თავი უნდა გაანებოს და მიისწრაფვიდეს ზეციური მამის საუკუნო სავანეთა შინა. ეს საუკუნე საუნჯე უნდა მოიპოვოს ჩვენმა სულმა! ყოველი გაჭირვების და ამაო წუთისოფლის ზრუნვათა დროს ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს ეს საუკუნე საუნჯე და ნეტარება.

რა თვისება აქვს დროს? იგი გარბის დაუღალავად და შეუნიშნავად; ტყუილა კი არ ამბობენ, რომ დრო მიფრინავსო; ჩვენც ხშირად ვიტყვით ხოლმე: კიდევ ვერ ამჩნევ, როგორ გარბის დრო. ამიტომ საჭიროა, რომ არც ჩვენ ჩამოვრჩეთ მას უკან, არ

უნდა დაგვავიწყდეს, რომ მუდამ ვადგეთ კეთილ საქმეს, მზათ ვიყვეთ თავი დავსდვათ სარწმუნოებისა, სიმართლისა და სიყვარულისათვის; უნდა ვეჩქარეგოდეთ, რაც შეიძლება, მომეტებული საუნჯე მოვიპოვოთ ჩვენი საუკუნო ცხოვრებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, დრო გაირბენს და ჩვენ კი ცარიელნი დავრჩებით: ქორწილი დაიწყება და მოვალს სიძე, და ჩვენ, როგორც სულელნი ქალწულნი, დავუწყებთ ძებნას ზეთსა, მაგრამ ველარ ვიშოვით. ვინც მზათ იქნება, ის თან შეყვება სიძეს სახლში, ჩვენ კი გარეთ დავრჩებით; ბევრს ვუძახებთ და ლალადვყოფთ: „უფალო, უფალო, განგვიღე ჩვენ»; მაგრამ იგი გვეტყვის ჩვენ: «არა გიცნი თქვენ, განმეშორენით ჩემგან! ილვიძებდით თქვენ», გვირჩევს მოციქული, რათა ისარგებლოთ დროით და მოიპოვოთ კეთილი საქმენი. რამდენათაც უფრო ვისარგებლებთ დროით, მით უმეტეს მომეტებულ ჯილდოს მივიღებთ და ჩვენი ცხოვრებაც უფრო უსრულესი და ნეტარი იქნება მომავალი ცხოვრების დროს. წინააღმდეგ, რამდენათაც მომეტებულ დროს დავკარგავთ უსაქმობაში ანუ უსარგებლო საქმეებზე, მით უფრო სასტიკ განსჯას მივიღებთ მართლმსაჯული უფლისაგან, რომელმაც მოგვანიჭა ჩვენ დრო, რათა ვქნათ კეთილნი საქმენი და ამით განვიმზადოთ საუკუნო ცხოვრება. და რა სანუგეშო იქნება თვითონ ჩვენთვის სიკვდილის მოახლოვების დროს იმ მრავალ განსაცდელთა მოგონება, რომელთაც ღვთის მადლით უკვე ვსძლიეთ, მოგონება იმ მრავალ კეთილ საქმეთა, რომელნიც ჩვენ მოვიქმედეთ ღვთის სადიდებლად, მოგონება იმ მრავალ მწარე ცრემლთა, რომელნიც ჩვენ დავლვარეთ ჩვენი ცოდვების მოსანანებლად, მოგონება იმ მწუხარებათა და უბედურებათა, რომელიც მოგვევლინა ჩვენ ღვთის სიყვარულისა გამო, რათა გამოვეცადნეთ აქ, რომ განწმენდილნი წარვსდგეთ მის წინაშე. პირიქით, რა საშიშოა სიკვდილი იმისთვის, რომელსაც თავისი სიცოცხლე განუტარებია ცოდვებში და ცუდ საქმეებში! სხვას რას უნდა მოელოდეს იგი, თუ არა წარწყმედას?

რა თვისება აქვს დროს? იგი მიმდინარეობს წესიერად. საათები, დღეები, თვეები, წლები, საუკუნოები მიმდინარეობენ განუწყვეტლად და რიგრიგობით. ყოველივეში სჩანს სასტიკი წესიერება. აქ ყველაფერი თავის ადგილზე და თავის ფარგალშია შემოზღუდული: დღეის დღეს არ შეუძლია შეაჩეროს გუშინდელი და გუშინდელს არ შეუძლია დღეის ადგილი დაიჭიროს. საჭიროა, რომ ჩვენს ცხოვრებაშიაც ასეთი წესიერება იქმნეს დაცული, რომ ჩვენი საქმენი სწარმოებდნენ ასეთივე წესით და თავის დროზე. ყოველ დროს უნდა ჰქონდეს თავის საქმე მიჩემებული და ყოველს საქმე თავის ცრო, დიდ საქმეს მომეტებული დრო და ნაკლებს ნაკლები. არც ერთი საქმე არ არის უდიდესი და უსაჭიროესი სულის ცხოვნებაზე და ნეტარი სასუფევლის მოპოებაზე, ვინაიდგან ამაში მდგომარეობს ჩვენი ცხოვრების მიზანი: ამ უმთავრეს საქმეს ჩვენ უნდა შევსწიროთ მთელი ჩვენი სიცოცხლე. ამით ის კი არ გვინდა ვსთქვათ. რომ ამის გამო ჩვენ, ვითომც, უნდა მივატოვოთ ყოველი საქმე როგორც საზოგადო ისე შინაური, არამედ ის, რომ ყოველი ჩვენი მოღვაწეობა როგორც საზოგადო ისე კერძო ალჭურვილი იქნეს, რათა ვასიამოვნოთ ღმერთსა და იმედი გვქონდეს, რომ ღმერთი ზრუნავს ჩვენთვის. ამიტომ ყოველი საქმე უნდა დავიწყოთ ლოცვით და ვაწარმოვოთ არა ისე, როგორც ჩვენ გვსურს, არამედ როგორც მოითხოვს ღვთის სჯული, შევასრულოთ იგი არა ჩვენი თავმოყვარების დასაკმაყოფილებლად, არამედ სადიდებლად ღვთისა.

რა არის დროის უმთავრესი კანონი? იგი მიდის მხოლოდ წინ და უკან აღარ ბრუნდება. ეს არის ნაწერი რომლის ფურცლები ბრუნდებიან ერთიერთმანეთის შემდეგ ჩვენგან უხილავის ხელით. ჩვენ უფლება გვაქვს, ჩვენი გონებით, სურვილით, გრძნობით, ჩვენი სიტყვებით და საქმეებით ჩავსწეროთ რამ ამ წიგნში, მაგრამ არ შეგვიძლია უკან დავაბრუნოთ არც ერთი ფურცელი, არ შეგვიძლია გამოვსცვალოთ მასში არც ერთი ასო: რაც კი თავის დროზე მოვიქმედეთ ჩვენ, ის უკვე წავიდა და მიიმალა ჩვენგან დროსთან ერთად, იმისი უკან დაბრუნება, ანუ შეშლა არავის არ შეუძლია. ამგვარად წარსული წელი

ჩვენთვის აღარ იქნება! იგი წარვიდა და თან გაიყოლია ყოველივე ჩვენი საქმენი. ამ წელში არის დახატული სრული სურათი ჩვენი მთელი წლის ცხოვრებისა. მასში აღნიშნულია ყოველი ჩვენი მოქმედება, ყოველი ჩვენი სურვილი და ყოველი სიტყვა, რომელიც კი აღმოვიდა ჩვენი პირიდგან. ყოველივე ეს თან წაიღო წარსულმა წელმა; ყოველივე ამას წარუდგენს ზეციურს მამას; ყოველივე ეს დაფარულ და აღბეჭდილ იქმნება ქრისტეს საშინელს განსჯამდის; მაშინ კი ყოველივე გამოცხადდება ანგელოზთა და კაცთა წინაშე. რა მოგვივა, თუ ეს წიგნი აღვსილი იქნება ჩვენი უსჯულოებითა? ნუ თუ არ შევთხოვთ მაშინ მთებს: გარდამოხდით ჩვენზე და გორაკებს: დაგვიფარეთ ტახტსა ზედა მჯდომარე მეუფისგან! მაგრამ წარსულის დაბრუნება არ შეიძლება. მხოლოდ ერთად ერთ მოწყალებას ჩვენი გამომხსნელისას შეუძლია დაფაროს ჩვენი ცოდვები; მხოლოდ მის გამწმენდელს სისხლს, რომელიც დანთხეულ იქმნა საცხოვნებლად ქვეყნისა, შეუძლია განსწმინდოს უსჯულოებანი ჩვენნი; მხოლოდ მის სიმართლეს შეუძლია დაჰფაროს ჩვენი უსამართლოებანი. მხოლოდ მის ყოვლად შემძლებლობას შეუძლია წაშალოს ჩვენი ცხოვრების წიგნში ჩაწერილი უსჯულოებანი, ვიდრემდის ღვთის მართლ-მსაჯულება არ აღბეჭდავს ამ წიგნს ჩვენი სიკვდილის დღეს. ამიტომ მივიქცეთ მისდამი—ჩვენი გამომხსნელის და უფლისადმი—შემუსრული გულითა; მისადმი მივიქცეთ სინანულით და ცრემლით; მისადმი ვღაღადვჰყოთ; «უფალო, გვაცხოვნე ჩვენ!» შენ მხოლოს გაბარებთ ჩვენს სიცოცხლეს, შენ განდობთ ჩვენს ბედს: ჰქმენ ჩვენში, რაც კი სურს შენს უმაღლეს სიბრძნეს, რასაც კი დაინახავს სასარგებლოდ ჩვენდა შენი გამოუთქმელი სასოება! «მამაო ჩვენო», ყველაფერში და ყველგან «იყოს ნება შენი!»

ქართული აპოკრიფები

წმინდისა ღვთისმშობლისაგან კაცთა ცოდვილთა სატანჯველთა ხილვა.

(გაგრძელება *)

ჰრქვა მიხაილ: ყოვლად წმიდაო, წარვედ და იხილე, სადა იგი მღვდელნი იტანჯებიან. აღიხილნა და იხილნა მღვდელნი ზემოკიდებულნი და ცეცხლნი თხემისაგან მათისა გამოვიდოდეს. ჰრქვა ყოვლად წმიდამან: რა არს ცოდვა ამათი? მიუგო ანგელოსმან: ესენი არიან საღმრთოსა მსხვერპლისა შემწირველნი, რომელნი საშინელთა საყდართა ღვთისათა სდგანან და ოდეს დაანაწილებდენ საღმრთოსა ტარიგსა გაუფრთხილებლად და ნაწილი ქვე სცვიოდათ, რომლისა მიხედვითა საყდარი ღვთისა იძროდა და კვარცხლბეკი ფერხთა მისთა ძრწოდა, ამისთვის ესრედ აქა იტანჯებიან.

იხილა სხვასა ადგილსა ყოვლად წმიდამან კაცნი ცეცხლსა შინა მყოფნი და მხეცნი ფრთოვანნი ჰგვემდა მათ, რომელსა ედგა თავი, ვითარცა ალი ცეცხლისა. ჰკითხა ყოვლად წმიდამა ანგელოზსა: რა არს ცოდვა ამათი? ჰრქვა ანგელოზმან, ესენი არიან დიაკონნი, რომელნი წმიდასა სახარებასა და წერილთა და მოძღვრებათა ეკკლესიისათა აღმოიკითხვიდნენ და არა ჰყოფდენ მორჩილებასა ეკკლესიისა და მღვდელთასა და არა ერიდებოდნენ ცოდვასა. ამისთვის აქა ესრეთ იტანჯებიან. განვიდნენ მიერ სხვასა ადგილსა და იხილნა მუნ, რომელნი სხდეს ცეცხლსა შინა. ჰკითხა ყოვლად წმიდამან: ვინ არიან ესენი, ანუ რა არს ცოდვა ამათი? რქვა მიხაილ:—ესენი არიან, ყოვლად წმიდაო, რომელთა მოციქულთა და მღვდელთ-მოძღვართა ხატი ემოსა და იყვნეს ქვეყანასა ზედა მღვდელ-მთავრად და ეტყოდენ მღვდელნი და ერის-

*) იხ. «მწყემსი» № 19, 1893 წ.

განი გვაკურთხე, უწმინდესო მეუფეო, და იგინი იყვნენ არა თუ წმიდა, არამედ არა წმიდა იყვნენ და ცოდვითა შეგინებულ და არა წმიდებითა შემწყალებულ და არა ეიდოდონენ გზათა სიმართლისათა, აწ აქა იტანჯვებიან. იხილა ყოველად წმიდამან სხვასა ადგილსა დედაკაცნი მოკიდებული, ალი ცეცხლისა გამოვიდოდეს პირისა მათისა და სულთქმით ტიროდა და დაწვებოდა. ჰკითხა ყოველად წმიდამან მთავარანგელოზსა: ვინ არს ესენი, ანუ რა არს ცოდვა ამათი? ჰრქვა მიხაილ ყოველად წმიდასა:— ესენი არიან სამღვდელო კაცთა მეუღლენი, რომელთა შემდგომად მიცვალებასა მეუღლეთა მათთა მღვდელთასა თვისსა მეუღლესა არა პატივისცეს ჭეშმარიტებისა ქვრიობათასა და ადგრნენ და სხვა ქმარი შეირთვეს, ამისთვის აქა იტანჯებიან.

იხილა სხვასა ადგილსა მათივე სატანჯველითა დიაკონთა ცოლნი და სხვასა ადგილსა სიმრავლე მამათა და დედათა ცეცხლსა შინა მდებარენი და ცეცხლნი და მხეცნი სჭამდენ ხორცთა მათთა. ჰრქვა ყოველად წმიდამან: ვინ არიან ესენი, ანუ რა არს ცოდვა ამათი? ჰრქვა ანგელოსმან: ესენი არიან ენკრატისნი, რომელნი ისიძვიდეს და ხორცნი მათნი შეაგინეს და თვისი მონაზონობა არა დაიმარხეს, ამისთვის აქა იტანჯებიან. ჰრქვა მიხაილ ყოველად წმიდასა: მოვედ, ყოველად წმიდაო, და იხილენ უფროსნი სატანჯველნი სიმრავლე ცოდვილთა. მოვიდა ყოველად წმ. ღვთისმშობელი და იხილა, მდინარე ცეცხლისა საშინელად გრგვინვიდა და მას შინა სხდეს მამანი და დედანი და ეშმაკნი ცეცხლისანი ეკიდნეს ენითა მათითა. ტიროდა ყოველად წმ. ღვთისმშობელი და ჰრქვა მთავარანგელოზმან:—ესენი არიან, ყოველად წმიდაო, მსიძავნი და მემრუშაენი, მბეზღებელნი და ყოველთა ავთა საქმეთა მქმნელნი, ცრუფიცნი, სხვისა ნაშრომის მიმტაცებელნი და მჭამელნი, რომელნი მთავროობდენ გლახაკთა ზედა უწყალოდ, ეეცხლის მოყვარენი, მექრთამენი და კაცის მკველელნი, ღვთისა ჯ ეკკლესიისა უმსახურონი და მღვდელნი მაგინებელნი.

ესენი რა იხილა ყოველად წმიდამან, თქვა: ვაი ულონოთა ცოდვილთა. ჰრქვა მიხაილ მთავარანგელოზმან: ჯერედ არ გიხილაეს, ყოველად წმიდაო, უფროსნი სატანჯველნი. მაშინ წარიყვანა ყოველად წმიდა ღვთისმშობელი, სადა იგი იყვნენ დიდნი სატანჯველნი. მარცხენით კერძო იყო მდინარე ცეცხლისა და იყო ბნელი საშინელი და იყო ხილვა უბნელესსა თვისსა და იყო მას შინა სიმრავლე მამათა და დედათა; იყო ტირილი და ვაება და დუღდა, ვითარცა ქვაბი და ქთებდა ღელვით, ვითარცა ზღვა განძვინებულნი და ნაკვერცხალნი ცეცხლისა ჰსცემდა ცოდვილთა და მატლი ჰსჭამდა მათ და თქვეს ყოველთა ერთხმობით: უფალო, შეგვიწყალენ, მსაჯულო სამართლისაო, იხილეს რა ყოველად წმიდა რომელნი სტანჯვიდეს მათ ცოდვილთა, ღალადჰყვეს ერთითა ხმითა: გმადლობთ შენ, ძეო ღვთისაო, რამეთუ რომელთა დღედ სიკვდილისა ჩვენისა აქამომდე არღარა გვეხილნეს სინათლენი, აწ ღირს ვიქმენით ხილვად მოწყალებითა უბიწოდ მშობლისა შენისა.

და კვალად ხმა ჰყვეს ღვთისმშობლისა მიმართ: გიხაროდენ, ნათელო დაუღამებელო. ჰრქვა ყოველად წმიდამან, მიქაელ: ღიდად ვსწუხვარ და სალმობითა ალმევსების გული. იხილა ყოველად წმიდამან ანგელოსიცა იგი შეწუხებული, რომელი სტანჯვიდეს ცოდვილთა მათ, შეწუხნა ყოველად წმ. და ტიროდა, შეწუხნა მიხაილ და მტანჯველნი იგი ანგელოსნი ტირილისათვის ყოველად წმიდისა, ხოლო ცოდვილთა ღალადჰყვეს: კეთილად მოხვედ ჩვენთვის, ყოველად წმიდა, რომელნი ვართ საუკუნითგან ბნელსა შინა, და თქვა ყოველად წმიდამან: ჰოი ძნელნი სახილველნი, რომელნი განვიცადენ თვალითა და წარვიდეს ყოველნი და თქვეს, უფალო შეგვიწყალენ, და შემდგომად სიტყვისა ამის დასცხრა ღელვა იგი, რომელი იყო ცოდვილთა ზედა და კვალად გამოჩნდეს ცოდვილნი. ვითარცა მდოგვისა ძარცვალნი. ატირდა ყოველად წმ. ღვთისმშობელი და ჰრქვა მიქაელს: რა არს მდინარე ესე ანუ რა არს ცოდვა ამათი, რომელნი სხედან ბნელსა ამას შინა? ჰრქვა მიქაილ ყოველად წმიდასა: ესე არს ბნელი გარესკნელი, რომელთა ჯვარს აცვეს უფალი ჩემი იესო ქრისტე ღმერთი და რომელთა არა ნათელ იღეს და არცა ჰრწმენეს მამა, ძე და სული წმიდა და არიანცა ძე და მას შინა, რომელნი ისვიდეს სვინდიკნისა რომელ არს ნათელი დედა და მწვალებელნი და კაცის მკველელნი ძრძნეულნი და რომელნი მოაშობენ ჩჩვილთა. ჰრქვა ყოველად წმ. ღვთისმშობელმან: მსგავსად საქმეთა მათთა ეყავნ მათ და მეყვსეულად მოსცა ოხერა მდინარემან და ბნელი იგი დაეცა მათვე ზედა და ცეცხლმან დაფარნა იგინი. ჰრქვა მიხაილ ყოვ-

ლად წმიდასა: უკეთუ ვინმე შთავიდეს ბნელსა ამას შინა, არღარა არს გამოხსნა მისი. და ჰრქვა ყოვლად წმიდამან ღვთისმშობელმან: ვაი, ცოდვილთა და ულონოთა, რამეთუ დაუსრულებელ არს სატანჯველი მათთვის. ჰრქვა ყოვლად წმიდამან, გევედრები, მიხაილ, ერის მთავარო, რათა მახილვო, რომელსა ადგილსა იტანჯებიან ქრისტიანენი ნათელღებულნი და წარავლინა, სადა იგი იტანჯებოდნენ ქრისტიანენი. იხილნა ყოვლად წმიდამან ცეცხლითა და ბნელითა ძნელნი. ჰრქვა მიხაილს: რა არს ცოდვა ამათი? ჰრქვა მიხაილ ყოვლად წმიდასა: ესენი არიან, რომელთა ნათელ იღეს და საქმეთა ეშმაკისათა შეუდგეს და სინანულის ჟამი არ იცეს, უდებებით იქცეოდეს, ამისთვის აქ ესრეთ იტანჯებიან ტბასა ამასა შინა ცეცხლისა. ჰრქვა კვალად წმიდამან, რამეთუ მაქვს შენდა სიტყვა რამე, ზეცის ერის მთავარო. როცა განვიდე მეცა და ქრისტიანეთათანა ვიტანჯებოდე. ჰრქვა მიხაილ, ყოვლად წმიდაო, შენ სამოთხესა შინა განისვენე. ჰრქვა ყოვლად წმიდამან, გევედრები შენ, მიხაილ ზეცისა ძალთა მთავარო, წარმართენ თანა მხედრობით შენით და ილოცეთ ცოდვილთათვის. ჰრქვა მიხაილ ყოვლად წმიდასა: ცხოველ არს უფალი შვიდ გზით ღამესა შინა და ჩვენ ოდეს შევწირავთ ამათთვის ვედრებასა, არა ისმენს ჩვენსა ღმერთი. ჰრქვა ყოვლად წმიდამან, გევედრები, ზეცისა ერისა მთავარო, უბრძანე მხედრობასა ანგელოზთასა, რათა აღმიყვანოს მამისა მიმართ სახიერის და თქმისავე ამას ზედა აღიყვანეს მხედრობათა წინაშე საყდრისა ღვთაებისა. მაშინ განიპყრნა ხელნი თვისნი ქალწულმან და თქვა: შეგვიწყალენ ჩვენ ცოდვილი და მოგვხედენ თვალითა წყალობისა ცოდვილთა ამათ ტანჯულთა, რამეთუ ვიხილე და ვერ ვიტვირთე ტანჯვასა მათსა, რომელ ვიტანჯები ხილვითა ამითათა. მოვიდა ხმა უხილავისა მამისა: ვერ შევიწყალებ, ყოვლად წმიდაო, და თუ ვისმენ ვედრებასა შენსა, გარდავხედავ სამსჭვალთა.

ალ. ხახანაშვილი.

სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

ავადმყოფობა ფუტკრებისა

ფ ა ლ ა რ ა თ ი.

(გაგრძელება *)

ეს სენი, სახელწოდებული ფალარათად, ნაკლებ მავნებელია, ვინემ ფუტკრის ჟამი. სენი შეიტყობა მით, რომ სკის შიგნით კედლებზე, ბუდეში, ფიჭებზე და ჩარჩოებზე დაინახავ ყვითელი ფერის მოსხმულ ნაკელს, რომელსაც სდის მყრალი სუნი. მიზეზი ფალარათისა არის შეწუხება და გამოღვიძება ფუტკრებისა ზამთრის სიცივეებში, როდესაც ისინი არიან ღრმა ძილში (სიკვდილის მსგავსი მდგომარეობაა მწერთა დიდ სიცივეებში); აგრეთვე ძლიერ ხელს უწყობს ფალარათს ცივი ანუ მეტად თფილი ბინა, სინოტივე სკაში, როდესაც ისინი იძულებული არიან სკის გასაშრობად სვან კედლებზე ჩამოსული წვეთები, —გრძელი ზამთარი, ხმარება დაუზეჭდელი და ამისათვის დამჟავებული თაფლისა. ამისთანა შემთხვევაებში ფუტკრები სჭამენ ჩვეულებრივზე მეტ თაფლს, რომელიც გროვდება კუჭში და ასუსტებს აგებულებას. ზამთარში ხმაურობით ფუტკრები არ უნდა გაალვიძოთ, თორემ სიცივეს იგრძნობენ და ტანის გასათფობად თაფლს დაეძალებიან; საჭმელს, რასაკვირველია, მონელება უნდა, მაგრამ ფუტკარი, სანამ საღათაა, თვისი ნაკელით სკას შიგნით არ გააფუჭებს, გარეთ კი სიცივისა გამო ვერ გამოვა; ჰაერის გათფობამდის ნაკელი ტანში რჩება და ახდენს მას. თქვენ ხშირად შეამჩნევთ ნავარდობის დროს ზამთარში, როგორ გაბერილები გამოდიან ფუტკრები სკებიდგან და დიდის გაჭირვებით იწმინდებიან ჰაერში, როგორ ეკიდება მათ უკანა ნაწილზე ძაფივით ნაკელი, რამდენს ძალაუნებურად აჯენს თოვლზე და იქ საუკუნოდ ათხოვებს ამ წუთისოფელს. აგრეთვე გადამეტს სჭამენ ფუტკრები თაფლს, როდესაც სცივათ.

---

*) იხ. „მწყემსის“ მე-23 № 1893 წ.

ძალიან თფილი სკებიც მაინებელია. ფუტკრები ბარტყობას ხელს მიჰყოფენ იმ დროს, როდესაც გარეთ სიცივეა, ბევრ საკვებს იღებენ აგებულებაში ბარტყებისათვის რძის გასაკეთებლად და მუშაობის დროს გადამეტი მოთბოვნილების დასაკმაყოფილებლად; სიცივე მათ გარეთ არ გამოუშვებს და ფაღარათს უჩენს.

თფილი ამინდები ხშირად ათავისუფლებს მეფუტკრეს დარდისა და წამლობისაგან; ფუტკრები გამოდიან კარში, იწმინდებიან და რჩებიან; მაგრამ მაინც კარგია განსაწმენდელი ნავარდობის შემდეგ ან სხვა წმინდა სკაში გადაიყვანოთ ფუტკარი და ან ბინა კარგად გაუწმინდოთ, გასერილი უბარტყო ფიჭები გამოაცალოთ, ბარტყიანი კი დანით დაფხიკოთ. სჯობია, ბუდე დააპატარაოთ, ჭურჭუტანები დაჭმანოთ, დაუწვრილოთ საფრენი თელები და ზევიდგან დათბოთ ბალიშით, ანუ ნაბდის ნაჭერით.

ფაღარათისაგან დასუსტებული ფუტკრები დიდხნობამდის ვერ ღონიერდებიან; მათ მეფუტკრე უნდა წაეხმაროს ღონიერი სკებიდამ მოზრდილი ბარტყებიანი ფიჭების ჩაძატებით და, თუ ესეც არ შეეფარა, უნდა წაართვათ მას დედა და სხვებ გამოიყენოთ, ფუტკრები კი მიუმატოთ სხვა სუსტ სკებს. შემდეგ ამისა სკა და ფიჭებიც გაბანოთ კარბოლის სიმკვავე გარეულ წყალით.

ფრენის შეუძლებლობა

ეს ავადმყოფობა ემჩნევა ფუტკრებს ხშირად ნავარდობის შემდეგ; მიწაზე სკის წინ დაინახავთ მრავალ ფუტკარს ცალკე, თუ გროვად, რომლებსაც არ შეუძლიათ მაღლა ჰაერში აფრენა. რომ დაუკვირდეთ, აღმოჩნდება, რომ ზოგს დაგლეჯილი აქვსთ ფრთები, ზოგს პატარა, ზოგი კი დარბის მიწაზე დიდი გაბერილი მუცლებით. რომლებსაც დაგლეჯილი ფრთები აქვსთ, ბებრებია (როგორც დაკვირვებით გაუგიათ, ფუტკარი სცოცხლობს მარტო რვა თვეს, უმთავრესი საშოვრობაზე დიდი მუშაობის დროს ექვსი კვირაც დიდია) და მოხუცებულობით კვდებიან; ფრთების სიპატარავის მიზეზი ბურნაა. ზოგნი ამბობენ, რომ ეს ავათმყოფობა ზოგიერთი ყვავილების მაწყინარი თაფლის და ყვავილის ფქვილის ბრალიაო.

ყოველ შემთხვევაში, ეს სენი ძალიან მახარალებელი არ არის და ადვილად ჰკრება.

ფუტკრების მტრები

1, ბურნა ანუ ჩრჩილი.

ბურნას უწოდებენ მეფუტკრები პატარა რუს პეპელას. მას ადვილად ნახავთ სკის ახლოს ბინდისას ანუ სანთელთან. სანთელს სხვა მრავალი წვრილი პეპელებიც ესვევა, მაგრამ ყველა ბურნა არ არის. თვითონ ბურნა არაა მაინებელი ფუტკრებისათვის, მხოლოდ მისი მატლებია, ხშირად მომსპობი მთელი სკებისა. ეს მუქთამჭამლები იკვებებიან სანთლით და ფუტკრის ბარტყის კანით, რომელიც მას რჩება ბუდეში გამოსვლის შემდეგ. ბურნის მატლები, გამოტყდებიან თუ არა კვერცხებიდგან, მაშინვე შეუდგებიან დამაქცევარ მოქმედებას. პირველად ისინი გააბმენ ქსელს (ბადეს), რომელსაც ვერ მიეკარება ფუტკარი და შემდეგ დააკეთებენ გზებს (ხვრელებს) ფიჭის ძროებში. რომ ბრძოლა მოუხერხონ, ფუტკრები სჭრიან ფიჭებს მტრებისათვის გზის გადასაჭრელად და ამისათვის ახდენენ როგორც მრავალ ფიჭებს, აგრეთვე ხოცავენ თავის ბარტყებსაც და გაქცევთ სკიდგან.

თუ გაუჭირდათ ბრძოლა ფუტკრებს ამ მტრებთან, რომელნიც დიდხანს არ უნდებიან მთელი ფიჭები დაქცელონ თავის ბადით, მაშინ სკას სრულიად სტოვებენ, გამოდიან კარში ნაყარიევით და ეძებენ სხვა წმინდა ბინას.

ბურნის წინააღმდეგი საშუალება ხშირი დათვალიერებაა სკისა, გამოწმენდა მტვერისა, განსაკუთრებით, დაბნეული სანთლის ქერწლისა, რომელიც ბურნის მატლებისათვის წარჩინებული ბუდეა, გამოჭრა ფიჭის დაქცელული ადგილებისა. ღონიერ ნაყრებს და რიგიანად დაჭმანულს (გაგლესილს) სკებს ბურნა სრულიად ვერაფერს აკლებს.

2, მწიფობელა

მაისის დამდეგიდამ სექტემბრის დამლევამდე ჩვენში სტოვერობს ერთნაირი ფრინველი, რომელსაც იმერეთში უწოდებენ მწიფობელას. ეს ფრინველი ფერად

მწვანეა ყვითელი ზოლებით და გრძელი ნისკარტით, დაფრინავს გუნდათ და იკვებება მწერებით. მწიფობელა აძლევს მეფუტკრეს დიდ ზარალს და ხანდისხან, განსაკუთრებით, ნოტიო წლებში, სრულიად სპობს ფუტკრებს. გამჭრიახი მხედველობის შემწეობით, ის შორს ხედავს მფრინავ ფუტკარს და იჭერს ჰაერში. ნადირობა ამ ფრინველზე ძლიერ ადვილია, მით უმეტეს, რომ თოფის სროლის არ ეშინია. ხეზე სხდომა გუნდათ იცის და ამისათვის ერთი სროლით ხშირად ბევრი მოიკვლის.

3. მ ე ს კ ი ა

მესკია ჭრელი ჩიტია, ეტევება ფუტკარს უფრო ზამთარში. მარცვლებით ადვილი მისატყუებელია მახეზე და დასაჭერი.

4, კრაზანები (ბზიკები) და ჭიანჭველებიც არ აკლებენ ხელს ფუტკრების მტრობას, რისთვისაც მეფუტკრე უნდა სწყვეტდეს მათ, რამდენადაც მოუხერხდება.

5. ფუტკრის ტილი

მუყაით მეფუტკრეს ხშირად ენახულება წვრილი, მოწითალო და ტკიპის მსგავსი მწერი, რომელიც აზის ფუტკარს კისერზე ან თავზე. ფუტკრებიდამ იგინი გადადიან დედოზე და ასხდებიან თუ თავზე, თუ კისერზე და თუ კისრის ნაოჭებში; თუ ბევრი დაესია, შეუძლიათ დედო მოკლან.

6. თ ა გ ვ ე ბ ი

თაგვები დიდი მტრებია ფუტკრებისა, განსაკუთრებით, ზამთარში. თუ შესავალი იშოვეს, ფიჭებს სრულიად დახრავენ. ზამთრის ძილის დროს არც თვითონ ფუტკრებს აკლებენ ხელს. ამისათვის მეფუტკრე უნდა სცდილობდეს, რომ თაგვს სკაში შესავალი არა ჰქონდეს.

7. გომფაშო

გომფაშო ძლიერ მავნებელია ზაფხულის თფილ ღამეებში მიწაზე მდებარე სკებისათვის. სიცხის გამო ფუტკრები გროვად ჩამოეკიდებიან ხოლმე თელებთან, გომფაშოები მიადგებიან და სჭამენ მუჭ-მუჭა.

გონივრული მოვლა ფუტკრისა

რომ დაუკვირდეთ ფუტკრის ცხოვრებას, როგორი ბინაც უნდა ჰქონდეს მას, ჩვენ ვხედავთ თაფლს ზევით და ბარტყების ბუდეს მის ქვეშ. მხოლოდ ძალდატანებით შეიძლება ადამიანმა შეანახვინოს მას თაფლი ბუდის გვერდზე ანუ ძირს. ცარიელ ალაგებს მაღლა ფუტკრები სწრაფად ავსებენ თაფლით. სიცივეებში იგინი ზიან თაფლის ქვეშ, თუ ხელს არ უშლის ამგვარ მდგომარეობას სკის შენობა. ზამთარში, როდესაც მოძრაობა და გადასვლა ერთი ადგილიდამ მეორეზე ძნელია, მაშინ ამგვარი მოწყობილობა სკისა მიუცილებელი საჭიროებაა; მათთვის თაფლის მოძებნა არაა საჭირო, ღირს მხოლოდ ნელნელ იზიონ ზევით ფიჭაზე; თაფლიხათვის შორს მოგზაურობას ასცილდებიან და აღარ მოსწყდებიან საერთო გუნდს ანუ თაფლის ადგილს; ხითფო ცხადია, ზევით მიდის, რის გამოც თაფლი, გარდა იმისა, რომ კარგად ინახება, თხელია და ფუტკრებს აღარ სჭირდებათ მისი გადნობა.

უნაკლულო ბინა, რასაკვირველია, იქნება იმისთანა, რომელიც მეფუტკრეს შეუძლია თავისუფლად, როდესაც სურს, თაფლის შენობის წაუხდენლად გადაათვალიეროს, გახილოს, მოუაროს საჭიროების დროს. ამისთანა სკაში ადვილად უნდა შეიძლებოდეს ყოველი ფიჭის ამოღება და თავის ალაგას ჩადგმა. როდესაც ამნაირად იქნება ფუტკრების ბინა მოწყობილი, მაშინ მეფუტკრეს შეუძლია სთქვას ფუტკრები მოვაშინაურე და მათი პატრონი გავხდით.

დასაშლელი სკა

დაშლა სკისა შესაძლოა მაშინ, როდესაც თვითეული ფიჭა (სარაჭა) მოთავსებულია ცალკე ჩარჩოში და იმიანად ამოიღება. ჩარჩოები სკაში არიან მიწყობილი ერთიმეორეზე ისე, რომ შუაში ფუტკრებს აქვსთ თავისუფალი სასიარულო. ჩარჩოს ზედა თავის სიფართე დამოკიდებულია ფიჭის და ფუტკრების სასიარულო ალაგის (ქუჩის) სიფართეზე. თვითეული ჩარჩოს თავის სიფართე უნდა იქმნეს უმეტნაკლებოდ სამი მეოთხედი გოჯისა (ვერშოკისა). ამნაირი ჩარჩოები ჩაიწყობა სკაში ზევიდამ, ან გვერდი-

დამ. რიცხვი მათი დამოკიდებულია ფუტკრის ღონეზე და სიმრავლეზე. ფიჭები უნდა იყენენ მიბმული შიგნიდგან, ჩარჩოს თავის შუა ალაგას, ამისათვის ბელოვნურს, ანუ ნამდვილ ფიჭას გამდნარი წმინდა სანთლით აკერენ აღნიშნულ ალაგას. თუ ფიჭა არ არის, მაშინ სახაზავით წმინდა სანთლის სწორ ხაზს გააკლებენ იმ ალაგას, სადაც უნდათ ფუტკრებს ფიჭები მიაბმევინონ და გზას აღარ შეიშლიან.

დასაშლელი სკები ბევრნაირია. მათ შორის უმჯობესია იმისთანა, რომლის გასინჯვა ერთი შეხედვით შეიძლება ბუდის დაუმგერველად. საქმე იმაშია, რომ რომელი ჩარჩოც გინდათ, ის უნდა ამოიღოთ დანარჩენების გაუნძრევლად, თორემ თუ სხვებისაც შენძრევა და გამოღება დაგვჭირდა, ეს ძნელიც იქნება და მავნებელიც.

დარიგება მეფუტკრეობის დაწყებისათვის

როდესაც მეზობლებს და ნაცნობებს ურჩევ ფუტკრის გაშენებას, ყოველთვის გეუბნებიან: «გავაშენებდი, მაგრამ მოვლის არა გამეგება რა»-ო. საჭიროა მხოლოდ ფუტკარი იშოვოთ და მერმე თვითონ შეგასწავლის და შეგაყვარებს თავს. ფუტკარი ისეთი რამ არის მეფუტკრეობაში, რომ ყოველმა მუშა კაცმა მიუცილებლად უნდა გაიშენოს. თუ მაინც მაშინვე ვერ გადაიყვანთ კოდიდგან ჩარჩოიან სკაში, დიდი უბედურება არ მოხდება, უსარგებლოდ მაინც არ დარჩები.

იანვარი და თებერვალი კარგი დროა ფუტკრის სყიდვისათვის. სყიდვის დროს თან იყოლიეთ გამოცდილი კაცი, რომ საღი და ღონიერი ფუტკარი ამოარჩიოთ, ღონიერ ფუტკარში მეტიც რომ მისცეთ, ისა სჯობია. წაღება შეგიძლიათ, როდესაც ჯერ კიდევ თოვლია, თუმცა დაგვიანებასაც არა უშავს-რა, მხოლოდ თავდაღმა არ მოგვიდეთ დადგმა, თორემ ფიჭები პირშელმა მოვა და წახდემა. შემდეგ ამისა საჭიროა მომზადდეს ნაკრებისათვის ბინები—სკები.

რ. ჩიხლაძე.

ᲙᲔᲜᲢᲠᲝᲜᲘ ᲒᲠᲝᲕᲔᲑᲘ.

ᲜᲐ Ფოლადიდან.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲐ ᲡᲐᲛᲨᲕᲘᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲔᲜᲘᲔᲠᲝ ᲓᲐᲛᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ.

ᲓᲘᲓᲘ Დ. ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ Დ.

ᲚᲐ Ფოლადიდან.

ᲚᲐᲠᲘᲡᲐ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ Ნ. ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ Ნ.

ᲚᲒ Ფოლადიდან.

ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲨᲔᲛᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ.

ᲠᲘᲩᲐᲠᲓᲘᲐ, ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ.

ᲚᲜ Ფოლადიდან.

ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ.

ᲓᲘᲓᲘ Ბ. ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ Ბ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ.

სახელმძღვანელონი,

დაწ�ილნი იაკობ გოგებაშვილის მიერ.

ᲓᲔᲓᲐ-ᲔᲜᲐ, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, საერო და სამრეველო სკოლებში სახმარებელი, მეცხრე შევსებული გამოცემა, დაბეჭდილი წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ამ გამოცემაში ჩართულია თავში სახატავი სურათები და ბოლოში საწერი დედანი, ასე, რომ ამ წიგნის მხმარებელთ აღარ მოუნდებათ სყიდვა არც სახატავებისა და არც დედნისა. ფასი ისევ ექვსი შაურია, ყდით ოცი აბაზი. ეს წიგნი მოწონებულია და ქართულის ენის სახელმძღვანელოდ დანიშნული განათლების სამინისტროს მიერ და უწმიდესის სინოდისაგან... ვინც ერთად იყიდის ოც და ათასან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურათ, ყდით 33 კაპ.

ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲘ, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასში სახმარებელი, მეშვიდე გამოცემა, შემკული სურათებით და საქართველოს ქარტით,

დაბეჭდილია წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ფასი ყდით ოთხი-აბაზ უზალთუნი (90 კაპ.). უყდოთ ეს გამოცემა არ ისყიდება. ვინც ერთად იყიდის ათს ცალსა, წიგნი დაეთმობა ოთხ აბაზად, ვინც ოცსა— თუთხმეტ შაურად და ვინც ოც-და-ათსა—თოთხმეტ შაურად. ეს წიგნიც მოწონებულია სამინისტროსაგან, როგორც „მშვენიერი სახელმძღვანელო ქართულის ენისა“ და აგრეთვე უწმიდესი სინოდისაგან.

კ Ო ნ Ო რ Ი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, გამოცემა მეშვიდე, ფასი ორი შაური; ნარდათ 8 კაპეიკი.

კ Ო ნ ა საყმაწვილო მოთხრობათა ბუნების მეცნიერებიდგან, მესამე გამოცემა, სურათებიანი, ფასი ათი შაური, ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალსა, ცხრა შაურად მიეცემა წიგნი, ვინც ოცსა, ორ აბაზათ. წიგნი მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგანა.

ხ Ო მ ლ Ი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება მოზრდილ ყრმათათვის, მეორე გამოცემა, ფასი ექვსი შაური. მოწონებული სამინისტროსა და სინოდისაგან.

კუნწულა, ანუ საყმაწვილო მოთხრობანი, ფასი ორი აბაზი. მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგან.

ივანანამ რა ჰქმნა? მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის, ფასი ორი შაური.

ხატის მიზეზი? საყმაწვილო მოთხრობა, ფასი ერთი შაური.

ასპინძის ომი საყმაწვილო მოთხრობა მეფე ერეკლეს სურათით და ქარტით, ფასი ორი შაური.

მირითადი უკუღმართობა, პუბლიცისტური წერილი დედა-ენის მნიშვნელობის შესახებ კერძო ადამიანის და მთელის ერის ცხოვრებასა და წარმატებაში, ფასი ერთი აბაზი..

РУССКОЕ СЛОВО, часть первая, изданіе четвертое цѣна тридцать копеекъ, въ переплетѣ 40 копеекъ.

РУССКОЕ СЛОВО, часть вторая, изданіе третье, цѣна 40 копеекъ. Въ переплетѣ 50 коп.

РУКОВОДСТВО для учащихъ къ преподаванію русскаго языка по „Русскому Слову“, цѣна 50 коп.

Обѣ части «Русскаго Слова» одобрены въ качествѣ учебнаго руководства по русскому языку для грузинскихъ школъ, а «Руководство для учащихъ» одобрено для библіотекъ низшихъ и среднихъ учебныхъ заведеніи всего Кавказскаго учебнаго округа, и то и другое одобрено учебнымъ Начальствомъ, съ утвержденія Господина Главноначальствующаго. (Смотри „Сборникъ“ распоряженіи по управленію Кавказскимъ Учебнымъ округомъ стран. 1965 и 1967).

Равнымъ образомъ одобрено и рекомендовано Русское Слово» духовнымъ учебнымъ Начальствомъ.

(15—4)

მიიღება ხელის-მოწერა 1894 წლისათვის ორ-კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემს“-ზე

და

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და საერო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა ზემოხსენებულის პროგრამმის აღსრულების გარდა არის—1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემს»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

ფასი ჟურნალისა:

12 თვით «მწყემსი» 5 მ.		6 თვით «მწყემსი» 3 მ.	
— ,, ორივე გამოცემა 6 »		— ,, ორივე გამოცემა 4 »	
— ,, რუსული ,, 3 მ.		— ,, რუსული ,, 2 მ.	

სოფლის მასწავლებელთ «მწყემსი» დაეთმობათ მთელის წლით სამ მანეთად.

რედაქციას აქვს კანტორები: **ქუთაისში** ხანანაშვილების სახლებში და **კვირილაში** რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც **კვირილაში**, აგრეთვე **ქუთაისშიაც**.

ზარეშე მცხოვრებთა ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: **Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ" и «ПАСТЫРЬ».**

მიიღება ხელის-მოწერა 1893 წლისათვის ორ თვიურ საყმაწვილო სურათებიან ჟურნალ

„ჯეჯილზე"

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი, და თითო წიგნში იქნება ოთხიდამ-ხუთამდე ნაბეჭდი თაბახი, ანუ 64—80-დე გვერდი დიდის ფორმატისა.

«ჯეჯილში» დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთა-ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშო სათამაშონი და საფარჯიშონი, სამათემატიკო ამოცანები, იგავები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში დატარებით ეღირება—3 მანეთი, თბილის გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი იქნება 60 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით.

რედაქტორი-გამომცემელი ან. თ. წერეთლისა.

(3—3)

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

„კვალი"

გამოვა 1894 წლიდგან ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდგან სამ თაბახამდის იმავე პროგრამით.

რედაქცია ყოველ-ღონისძიებას ხმარობს გააუმჯობესოს შინაარსი და სახე გაზეთისა. ამ განზრახვით მან დაიბარა პეტერბურღიდან მრავალი საუკეთესო ცინკზე და სპილენძზე მოჭრილი მხატვრობა.

წლიურად ეღირება გაუგზავნელად შვიდი მანეთი, ხოლო გაგზავნით 8 მან. ნახევარის წლისა გაუგზავნელად სამი მან. და ათი შაური, გაგზავნით ოთხი მანეთი; სამი თვისა გაუგზავნელად ორი მან. გაგზავნით სამი მან. თითო ნომერი აპაზათ.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში არწრუნისსეულ ქარვასლის ქართულ სახალხო სამკითხველოში და „წერა-კითხვის საზოგადოების" კანცელარიაში. ქალაქს გარეშე ხელის მომწერნი უნდა მიიქცენ «კვალის» რედაქციაში Тифлисъ, Редакція «КВАЛИ».

4—3

1894 წლის იანვრიდგან

გამოვა ყოველ თვიური ქართული ჟურნალი

„მოამბე"

შემდეგის პროგრამმით:

I **სიტყვა-კაზმული მწერლობა** ორიგინალი და ნათარგმნი რუსულიდან და უცხო ენებიდან: რომანები, მოთხრობები, ამბები, ლექსები, პოემები, დრამატიული თხზულებანი და სახალხო სიტყვიერების ნაწარმოები.

II **ისტორია**, გეოგრაფია, არქეოლოგია, ბიოგრაფია შესანიშნავის კაცებისა, საერო მეურნეობა, მართლ-მსაჯულება, შესანიშნავი სამსჯავრო პროცესები

III **სასოფლო მეურნეობა**: სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის შესახებ სტატიები და კორრესპონდენციები.

IV **კრიტიკა და ბიბლიოგრაფია** ქართულის, რუსულისა და უცხოეთის სალიტერატურო და სამეცნიერო თხზულებათა შესახებ.

V **ქრონიკა**: ახალი ამბები შინაურის და უცხო ქვეყნების ცხოვრებიდან.

VI **ნარევი**.

VII **განცხადებანი**.

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

ერთის წლით—10 მან., ექვსის თვით—6 მანეთი, სამის თვით 4 მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება თვით რედაქციაში, რომელსაც უნდა მიმართოს შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію грузинскаго журнала «МОАМБЭ».

4—4

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою. Кутаисъ, 30 Января 1894 г.*

Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр.Ханановыхъ на Нѣмецкой ул.